გუნდმა კვლავ სუსტად ითამაშა

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 24 ივნისი.

“დინამო” (თბილისი) _ “შახტიორი” (სტალინო) 0:0.

“შახტიორი”: რაივიჩი, გოლოვკო, სნეგირიოვი, ალიაბიევი, მიზერნი, სალკოვი, როდინი, კოლოსოვი, საველიევი, ზახაროვი (რომანიუტა), დიკოვეცი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი (ცინცაძე), ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი.

მსაჯი: კ. ოსიპოვი (ლენინგრადი).

საკმაოდ დიდი ხნის შესვენების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო გუნდის მგზავრობით მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე სათამაშოდ, თბილისელმა მაყურებლებმა კვლავ ნახეს თბილისის “დინამოს” გამოსვლა საკუთარ მინდორზე და უნდა პირდაპირ ითქვას, გუნდმა არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვა. განვლილ მატჩში დაკარგული ქულა პირდაპირი შედეგია იმისა, რომ დინამოელებმა მთელი თავიანთი ძალა და შესაძლებლობანი არ ჩააქსოვეს გამარჯვების მოპოვებისათვის ბრძოლას.

“დინამოს” განსაკუთრებით ისა აქვს სასაყვედურო, რომ მან კარგად დაიწყო მატჩი და ნაცვლად იმისა, რომ თანდათან განევითარებინა მოპოვებული უპირატესობა და რეალობად ექცია გამარჯვება, მან ხელიდან გაუშვა თამაშის სადავეები, ვერაფერი დაუპირისპირა მოწინააღმდეგის ენერგიულ, აგრესიულ მოქმედებას და დაკარგა უაღრესად საჭირო ქულა.

თბილისელებმა თამაში დაიწყეს შემდეგნაირად: გ. სიჭინავა ძირითადად შუამარბის ზონაში თამაშობდა და ყოველ საჭირო მომენტში აქტიურ დახმარებას უწევდა იამანიძეს, რომელიც საუკეთესოდ ასრულებდა შემტევი ნახევარმცველის რთულ ფუნქციებს. სწორედ მისი წყალობით გაიშალა აქტიური თამაში მარცხენა ფლანგზე, საიდანაც ზედიზედ იქნა განხორციელებული მეტად სახიფათო საიერიშო კომბინაციები. დათუნაშვილი, გ. სიჭინავა და იამანიძე ხშირად გადიოდნენ ვრცელ ტერიტორიას ზუსტი გადაცემებით და თუმცა მარჯვენა ფრთა (მელაშვილი-ბარქაია) მათ ერთობ “მოკრძალებულ” დახმარებას უწევდა საერთო შეტევის წარმოებაში, თამაშს მაინც სათანადო ეფექტი და სიმწვავე ჰქონდა. მაგრამ სრულიად გაუგებარი მიზეზით დინამოელებმა ხელი აიღეს ამ ტაქტიკურ ვარიანტზე და გაამარტივეს იგი _ გ. სიჭინავა ნახევარდაცვაში იქნა დაწეული, ხოლო იამანიძე დარჩა წინა პოზიციაზე. ამ წუთიდან დაწყებული ჩვენი გუნდის თამაში მკვეთრად შეიცვალა _ იგი გაუფერულდა, შეტევის სიმწვავემ მოიკლო, თავდასხმის ხუთეულის ურთიერთმოქმედება სრულიად დაირღვა და ამის შედეგად სტუმრებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. მართალია, მათ არა აქვთ მაღალი ტექნიკა, ტაქტიკური მრავალფეროვნება და სიმდიდრე, მაგრამ “შახტიორის” ფეხბურთელთა მონდომება და ბრძოლისუნარიანობა სრულიად საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რომ დაეცვათ კოლექტივის სახელი და მოეპოვებინათ ქულა მათთვის ძნელ მატჩში. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ სტალინოს სპორტსმენებმა უფრო კარგად და სრული დატვირთვით აიტანეს სამხრეთული სიცხე, ვიდრე თბილისელებმა.

გაკვირვებას იწვევს “დინამოს” მარჯვენა ფრთის უაღრესად სუსტი თამაში. ვერც მელაშვილი და ვერც ბარქაია განვლილ მატჩში ვერ პასუხობდნენ მათდამი წაყენებულ ელემენტარულ მოთხოვნებსაც კი. მელაშვილი შეცვლილი იქნა კიდეც მეორე ტაიმში ცინცაძით, მაგრამ ამ შეცვლას არავითარი სარგებლობა არ მოუცია გუნდისათვის. საერთოდ, ამ დღეს დინამოელთა თავდასხმამ ითამაშა ძალზე სუსტად _ ქაოტურად და შეუთანხმებლად. ფორვარდებს თითქმის არც ერთხელ არ დაურტყიათ ხეირიანად კარში. შედარებით უკეთესი იყო დაცვა, სადაც ენერგიული თამაშით თავი გამოიჩინა გ. სიჭინავამ.

მოსაწყენმა, უფერულმა 90-მა წუთმა განვლო ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა_0:0. ასეთივე შედეგით დამთავრდა ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრაც.

ვ. შავდია, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
“ლელო”, 25 ივნისი, 1961 წ.